

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №33**

22 დეკემბერი 2022 წ.
16:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყეშელაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი, ნინო წულაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაყვაძე, ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032234849-03 14.12.2022)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (საკრებულოს №15-03223491-03 15.12.2022)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - დემურ დიასამიძეს (პ/ნ. 61001029125) შორის 2017 წლის 30 იანვარს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №უ-338-25-20532 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე (საკრებულოს №12-032234960-03 15.12.2022)
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ჯაბა ნოზაძეს (პ/ნ. 57001016740) (უფლებამონაცვლე: შპს „ლ.დ. დეველოპმენტი“, ს/ნ. 405003099) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 22 თებერვლის №უ-35-467 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032216024-03 09.06.2022)
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არქ არეას“ (ს/ნ: 404619711) შორის 2021 წლის 9 დეკემბრის გაფორმებული „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოსატყაობი გამარჯვებული შპს „არქ არეასისთვის“ (ს/ნ: 404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „არქ არეას“ (ს/ნ: 404619711) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრებ. #12-032234021-03 6,12,2022)
6. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ, №01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.261) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი

უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებამონაცვლე, შპს „აბგრეიდ ქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ: 405542024), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-032232249-03 18.11.2022)

7. ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 38 კვ.მ ფართობისა (საკადასტრო კოდი: 01.15.05.075.027) და 58 კვ.მ ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.075.028) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტიისთვის“ (ს/ნ: 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ (საკრ#12-03223467-03; 12.12.2022წ)

8. ქალაქ თბილისში, ვიქტორ დოლიძის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.17.019.001.02.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (საკრებულოს №12-032233545-03 01.12.2022)

9. ქალაქ თბილისში, სამგორი რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032233545-03 01.12.2022; №12-03223432-03 09.12.2022)

10. „ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03223432-03 09.12.2022)

11. ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა №31-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.124) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032234958-03 15.12.2022)

12. ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუს №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429.01.556) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032234958-03 15.12.2022)

13. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში 3-ში, მე-6 კვარტლის კორპუსი №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.002.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032234958-03 15.12.2022)

14. ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.06.012.017.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032234958-03 15.12.2022)

15. ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №62-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.006.003.01.537) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032234958-03 15.12.2022)

16. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებული 56 695 კვ.მ მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: 01.72.16.104.005) და ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N23-ში არსებული 4324 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.06.012.168) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032235560-03 21.12.2022)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი წარმოადგინა ლევან მიქავამ.

ლევან მიქავას მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება შემოსულობების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადის 8541,7 ათასი ლარის ზრდით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების 425,7 ათასი ლარის შემცირებით და

ზოგიერთი შემოსავლის ფაქტიურად მიღებული ოდენობის მიხედვით გეგმის დაზუსტებით. ამასთან, ცვლილებები ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგებების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი ბიუჯეტის ჯამური მოცულობა შეადგენს 1 567 982,6 ათას ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 0201) 500,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) 5404,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) 650,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) 140,2 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (03 01) 2000,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 7827,6 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) 1100,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) 500,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 060113) 26,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06021811) 27,6 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06021812) 41,1 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) 47,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) 45,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) 20,0 ათასი ლარით, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) 260,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 080801) 60,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 1001) 100,0 ათასი ლარით და ემატება ახალი პროგრამა მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 1023) 1410,0 ათასი ლარის ოდენობით,

მცირდება გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია (კოდი 010101) 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) 49,3 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) 40,4 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 010110) 25,8 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 010111) 90,7 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 010113) 19,4 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 010116) 140,2 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 010117) 160,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 0202) 650,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) 57,1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 020911) 279,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 020912) 66,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 117,1) ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 020915) 67,8 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 020917) 130,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 020919) 100,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 0210) 2187,6 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 0401) 412,9 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 0403) 2,8 ათასი ლარით, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 040705) 284,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 0406) 10,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 050108) 14,2 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 050109) 11,9 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 050110) 91,3 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 050111) 88,9 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 050112) 25,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 050113) 13,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 050115) 77,5 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში ათასი ლარით (კოდი 050117) 99,0 ათასი ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 060105) 160,0 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 060107) 200,0 ათასი ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 060108) 90,0 ათასი ლარით, უფასო

სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 0602060) 26,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 060208) 1150,0 ათასი ლარით, უფასო სასაღამოო მომსახურება ვაკის რაიონში (კოდი 06021410) 2,7 ათასი ლარი, უფასო სასაღამოო მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06021411) 25,8 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება ვაკის რაიონში (კოდი 06021511) 9,8 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06021512) 2,1 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06021515) 10,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში (კოდი 06021611) 6,6 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06021612) 11,3 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06021615) 37,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 17 11) 8,5 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 17 12) 2,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 17 15) 0,06 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) 65,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 080601) 100,0 ათასი ლარით, მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 080602) 11,0 ათასი ლარით, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 080605) 32,0 ათასი ლარით, სპორტი უფროსი თაობისთვის (კოდი 080607) 50,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 081101) 1,6 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 081104) 4,8 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 081105) 43,3 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 1001) 1000,0 ათასი ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 1026) 1000,0 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 1027) 33,0 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 1032) 60,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 1048) 2088,9 ათასი ლარით.

მომხსენებელმა, საბა ბუაძისა და ნინო წულაძის შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტა.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-6 თავი შეიკავა ნინო წულაძემ წინააღმდეგი-საბა ბუაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი-ლევან მიქავა.

თანამშრომლებზე მოტივაციის ამაღლების მიზნით, ჯილდოს გასაცემად საკმარისი რესურსი არ აქვთ სანდრო მრევლიშვილის სახელობის დრამატულ თეატრს (პროგ/კოდი 08 01 01) და ემატებათ 7118 ლარი, პანტომიმის თეატრს (პროგ/კოდი 08 01 02)- 22 007 ლარი, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრს (პროგ/კოდი 08 01 05)- 7547 ლარი, სამეფო უბნის თეატრს (პროგ/კოდი 08 01 08) – 8970 ლარი, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (პროგ/კოდი 08 12) -10 446 ლარი.

ასევე თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის თანამშრომელთა წახალისების მიზნით, საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაიცეს მათზე ფულადი ჯილდო, რაზედაც აკლდებათ 20 000 ლარი, ხოლო სპორტული ცენტრების თანამშრომელთა წახალისების მიზნით, ფულადი ჯილდოს გასაცემად „სპორტული ღონისძიებების“ პროგრამაში (პროგ/კოდი 08 06 01)-ემატება 70 000 ლარი. აღნიშნული ცვლილება ხორციელდება, პროგრამის „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 08 02) – 146 088 ლარით შემცირებით.

მომხრე-6 თავი შეიკავა ნინო წულაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით

გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვს, მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - დემურ ღიასამიძეს (პ/ნ: 61001029125) შორის 2017 წლის 30 იანვარს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-338-25-20532 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2017 წლის 16 იანვრის NE-338-25-20532 ოქმისა (აღმინისტრაციული დაპირება) და 2017 წლის 30 იანვარის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-338-25-20532 ხელშეკრულების თანახმად, დემურ ღიასამიძეს (პ/ნ: 61001029125) საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ლისის ტბისკენ მიმავალ გზასა და ვაშლიჯვარს შორის მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.10.18.009.035) (შეზღუდვით - „ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით“.

მომხსენებლის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, პრივატიზებული მიწის ნაკვეთის შესაკუთრეს წარმოადგენს მამუკა ჯაფარიძე (პ/ნ: 61004002885). აუდიტორული კომპანიის შპს „კომპაუდის“ (ს/ნ: 202385169) 2016 წლის 20 სექტემბრის N1464 დასკვნის თანახმად N01.10.18.009.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური 2016 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენდა - 80 000 ლარს. 2022 წლის 3 ოქტომბერს შესაკუთრემ განცხადებით მიმართა სააგენტოს და ითხოვა N01.10.18.009.035 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვის მოხსნა/გაუქმება. გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვის მოხსნა.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ სააგენტომ წერილით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა დასკვნა, რომელიც ასახავს მყიდველის მიერ აუქციონზე შეძენილი N01.10.18.009.035 საკადასტრო ერთეულის სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა (122 000 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობას, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით, ხოლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიუროს დასკვნით დგინდება, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე, სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა (122 000 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობა, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით შეადგენს - 59 647 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვის მოხსნის თაობაზე წინადადება.

მომხრე-6 თავი შეიკავა საბა ბუაძემ და ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ჯაბა ნოზაძეს (პ/ნ: 57001016740) (უფლებამონაცვლე: შპს „ლ.დ. დევლოპმენტი“, ს/ნ: 405003099) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 22 თებერვლის №ე-35-467 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ჯაბა ნოზაძეს (პ/ნ: 57001016740) , (უფლებამონაცვლე შპს „ლ.დ. დევლოპმენტი“, ს/კ: 405003099) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 22 თებერვლის №ე-35-467 ოქმის საფუძველზე, აუქციონის წესით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე, ინსტიტუტსა და ახალ პანთეონს შორის მდებარე 208 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.14.03.042.179, შემდგომში: ქონება). ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი შეზღუდვით - „მშენებლობის უფლების გარეშე“.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქონების მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს „ლ.დ. დევლოპმენტი“ (ს/კ: 405003099), შესაბამისად, მყიდველის მხარეს ხელშეკრულებაში დღეისათვის წარმოადგენს აღნიშნული კომპანია. ამასთან, ქონება გართიანდა სხვა მიწის ნაკვეთებთან და გაერთიანების შედეგად, დღეისათვის რეგისტრირებულია №01.14.03.042.417 საკადასტრო ერთეულის სახით. მყიდველმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონებაზე არსებული შეზღუდვის („მშენებლობის უფლების გარეშე“) გაუქმება იმ დასაბუთებით, რომ აღნიშნული შეზღუდვის არსებობის რაიმე საფუძველი დღეის მდგომარეობით არ არსებობს.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 18 მარტის №001655822 დასკვნის შესაბამისად, ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (43 621 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის „მშენებლობის უფლების გარეშე“ შეზღუდვისგან თავისუფალ მდგომარეობაში ღირებულებებს შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებული თანხა შეადგენს 113 662) ლარს. ცვლილება ხორციელდება იმ პირობით, რომ სააგენტოს მიერ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მყიდველი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 113 662 ლარის გადახდას.

მომხრე-6 თავი შეიკავა საბა ბუაძემ და ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არქ არეას“ (ს/ნ: 404619711) შორის 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარე (ნაკვეთი 004/001) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არეასთვის“ (ს/ნ: 404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „არქ არეას“ (ს/ნ: 404619711) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 ნოემბრის №21.1565.1753 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის №534 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის - შპს „არქ არეასთვის“

(ს/ნ: 404619711) - ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2021 წლის 9 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლებმა, ზემოთხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ხელშეკრულების 3.4 პუნქტი)
- ხელშეკრულების შესაბამისად სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განახორციელოს საცხოვრებელი ფართების მშენებლობა და შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ. „განშლა“) გზით, კოოპერატივების წევრებს გადასცეს საკუთრების უფლება ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ხოლო შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნულ ფართები გადასცეს მათ ფაქტობრივად ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით. (ხელშეკრულების 3.1 პუნქტი)
- ხელშეკრულების თანახმად და შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში. (ხელშეკრულების 3.5 პუნქტი)
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საცხოვრებელ ფართები კოოპერატივის წევრებს ფაქტობრივ მფლობელობაში გადასცემს შესაბამისი საცხოვრებელი ფართის გასაღების მათთვის გადაცემის გზით, არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების 3.5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში მიიღოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ვადაში. (ხელშეკრულების 3.10 და 3.11 პუნქტები)

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არეასთვის“ (ს/ნ: 404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ გაფორმდა 2021 წლის 9 დეკემბერს. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვა კომპანიას უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2022 წლის 10 ივნისისა.

აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, კომპანიის განცხადების თანახმად, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, კერძოდ:

კომპანიამ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური“) 2021 წლის 9 სექტემბრის AR1849478 განაცხადით და მოითხოვა მიწის ნაკვეთის ს/კ: N01.19.39.004.002 სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის/განსაზღვრა, რომელზეც პასუხი კომპანიას ეცნობა 2021 წლის 11 ოქტომბერს №5630898 ბრძანებით. აღნიშნულის შემდგომ, კომპანიამ 2021 წლის 11 ოქტომბრის №01212843866-67 განაცხადით მიმართა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების/განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების (კ-2 კოეფიციენტის) გაზრდასთან დაკავშირებით, რის თაობაზეც კომპანიას პასუხი ეცნობა 2021 წლის 18 ოქტომბრის №0121291741 წერილით.

კომპანიის განმარტებით, ვადის გაჭიანურება გამოიწვია ასევე, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო - სატრანსპორტო სექციის შეთანხმების დაყოვნებამ, რაც გამოწვეული იყო მიწის ნაკვეთის რთული მდებარეობიდან გამომდინარე (ტერიტორია განთავსებულია სატრანსპორტო კვანძის სიახლოვეს, რის გამოც სატრანსპორტო სამსახურთან შეთანხმებას დასჭირდა სტანდარტულზე მეტი დრო).

არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებაა, ისიც, რომ შპს „არქ არეას“ (ს/ნ: 404619711) 2022 წლის 30 სექტემბრის №10/01222733480-61 განცხადების შესაბამისად, ლევან კავთიაშვილი (პ/ნ: 24001011859) თვითნებურად ფლობს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების/მიწის ნაკვეთის ნაწილს და განთავსებული აქვს კონსტრუქცია, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, კომპანიის წარმომადგენლების არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, დღემდე არ განუხორციელებია კონსტრუქციის დემონტაჟი, რაც ცალსახად ხელს უშლის კომპანიას, აწარმოოს სამშენებლო პროექტის განხორციელებისათვის საჭირო წინასაპროექტო სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე არქიტექტურის სამსახურს მიმართა 2021 წლის 10 დეკემბრის AR1867057 განაცხადით, ხოლო არქიტექტურული პროექტი შეთანხმდა 2022 წლის 10 ივნისს № 5976721 ბრძანებით. 2022 წლის 15 აგვისტოს №6081840 ბრძანებით (განცხადების ნომერი: AR1915745) კი ს/კ: N01.19.39.004.002 მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღსანიშნავია, რომ არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 სექტემბრის №6141841 ბრძანებით, ზემოთ მითითებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2022 წლის 7 ოქტომბრის №6153848 ბრძანებით (განცხადების ნომერი: AR1926378), კორექტირებული პროექტის საფუძველზე გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაციის ვადის ათვლა უნდა განხორციელებული მიწის ნაკვეთზე პირველადი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან - 2022 წლის 10 ივნისიდან 2 (ორი) თვის ვადაში, არაუგვიანეს 2022 წლის 15 ოქტომბრისა.

ხელშეკრულების 6.1.1 პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადების, ამ ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრულ ვადაში, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამისი პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის უზრუნველყოფის პირობით) შესრულების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ წარადგინა ჯამში 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია.

ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის მიხედვით, „იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრება სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტში მითითებული საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, მშენებლობის ნებართვისა მოპოვება და შესაბამისი კოოპერატივის წევრების ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაცია წარმოადგენს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, მათთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო, კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უნდა უზრუნველყოფილი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში. ვინაიდან პირველი სამშენებლო ნებართვის აღების ბოლო დღიდან (2022 წლის 10 ივნისიდან) ფაქტობრივი მდგომარეობით სამშენებლო ნებართვის აღების ვადამდე (2022 წლის 15 აგვისტომდე) გასულია 65 (სამოცდახუთი) დღე, პირგასამტეხლოს ოდენობაა 32 500 (ოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარი. ამასთანავე, ხელშეკრულების შესაბამისად, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ. „განშლა“) გზით, შესაბამისი ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელებიან შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2022 წლის 15 აგვისტოდან - არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, 2022 წლის 16 აგვისტოდან 2022 წლის 29 ნოემბრამდე გასულია 105 (ას ხუთი) დღე, რისთვისაც კომპანიისთვის დასაკისრებელი

პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 52 500 (ორმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარს, შესაბამისად, ორივე ვალდებულების დარღვევისთვის პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად - 85 000 (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარით.

კომპანიამ, 2022 წლის 24 ოქტომბრის №04-0122297251-61 და 2022 წლის 28 ნოემბრის №10-0122332379-61 განცხადებებით, სააგენტოს მომართა ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით. კომპანიის განმარტებით, ვალდებულებების შესრულება შეაფერხა ზემოაღწერილმა ფაქტობრივმა გარემოებებმა.

მომხრე-6 თავი შეიკავა საბა ბუაძემ და ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ, №01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.261) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებამონაცვლე, შპს „აბგრიდ ქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ. 405542024), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2019 წლის 8 თებერვლიდან 2019 წლის 8 მარტის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ, N01.10.06.001.261 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 885 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 3.6-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 5 500 კვ.მ-ით.

აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში შპს „ენსი გრუპმა“ (ს/კ 405186365) განცხადებით წარმოადგინა წინადადება, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 5 500 კვ.მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ამასთან, კომპანიის მიერ წარმოდგენილი იყო ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს 2019 წლის 22 მარტის N61-01190812396 წერილის საფუძველზე, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ენსი გრუპი“ (ს/კ: 405186365), ხოლო წერილის საფუძველზე უფლებამონაცვლედ განისაზღვრა - შპს „ენსი დეველოპმენტი“ (ს/კ: 405385925), ხოლო აღნიშნულის უფლებამონაცვლედ, მხარეთა შეთანხმებისა და სააგენტოს, განისაზღვრა - შპს „აბგრიდ ქონსტრაქშენი“ (ს/ნ: 405542024)),

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 1 მაისის №19.487.636 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის N218 განკარგულებების შესაბამისად, განხორციელდა უძრავი ქონების - ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, შესახვევი N13-ის მიმდებარედ არსებული 16885 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.06.001.261) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2019 წლის 13-15 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულებები,

რომლის თანახმად, N01.10.06.001.261 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი თანასაკუთრებაში გადაეცა 80 (ოთხმოცი) პირს (მათ შორის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრ/მათ უფლებამონაცვლე 16 (თექვსმეტი) პირს).

აღსანიშნავია, რომ მითითებული პირების მიერ კომპანიისათვის ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის პროცესი გაჭიანურდა, რამაც შესაბამისად გამოიწვია სამშენებლო პროექტის განხორციელების შეფერხება. ვინაიდან, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მითითებული მიწის ნაკვეთიდან კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაზარალებული 16 (თექვსმეტი) პირის გამოყოფისა და მათთვის სხვა მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე, იმ პირობით, რომ ისინი ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე იტყოდნენ უარს და საკუთრებაში დაუბრუნებდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. აღნიშნულთან დაკავშირებითაც კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულმა თექვსმეტივე პირმა განაცხადა თანხმობა. შესაბამისად, მითითებული განკარგულებებისა და 2021 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, მათ საკუთრებაში გადაეცათ ქ. თბილისში, პეტრიწის ქუჩის მიმდებარედ, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილები, ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, შესახვევი N13-ის მიმდებარედ არსებული 16885 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.10.06.001.261) მათი კუთვნილი წილი კი, შესაბამის მოთხოვნებთან და უფლებებთან ერთად, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. შესაბამისად, N01.10.06.001.261 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი განისაზღვრა 3688 კვ.მ მიწის ნაკვეთის უფლებამონაცვლედ. დღეის მდგომარეობით, N01.10.06.001.261 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გამოიწველია ხუთ ნაწილად, საიდანაც, 3000 კვ.მ (ს.კ: N01.10.06.001.292) წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაშია N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3115 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 688 კვ.მ. რაც შეეხება გამოიჯნის შედეგად წარმოქმნილ სხვა საკადასტრო ერთეულებს, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 1 მაისის №19.487.636 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის N218 განკარგულებით განსაზღვრულმა დანარჩენმა პირებმა მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთები საკუთრებაში გადასცეს კომპანიას და დღეის მდგომარეობით, ყველა მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებამონაცვლის - შპს „აბგრეიდ კონსტრაქშენის“ საკუთრების უფლება.

განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (20 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების ოდენობა, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის ოდენობას. დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების პროცესში, აღნიშნული, გარკვეულწილად, განაპირობებს მათი რიგითობის განსაზღვრას. გადასაცემი ფართის ჯამური ოდენობის კონკრეტული რიცხვით შეზღუდვის გამო, საჭირო გახდა რამდენიმე კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართის შემცირება არაუმეტეს 1 კვ.მ-ით, რათა თითოეული მათგანის მიერ მისაღები ინდივიდუალური ფართი არ ყოფილიყო გადასაცემი ფართის ჯამურ ოდენობაზე მეტი.

განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო სამინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მომხრე-6 თავი შეიკავა საბა ბუაძემ და ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 38 კვ.მ ფართობისა (საკადასტრო კოდი: 01.15.05.075.027) და 58 კვ.მ ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.075.028) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის“ (ს/ნ: 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „კრაფტსიტის“ (ს/ნ:405474311) გადაეცემა „ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 38 კვ.მ ფართობის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.075.027) და ქ.თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 58 კვ.მ ფართობის ტერიტორიები (საკადასტრო კოდი: N01.15.05.075.028) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის სარგებლობაშია ქ.თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ში, მერიის შენობის უკან მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.05.05.075.009).

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 13 ოქტომბრის N007089822 ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 17 280 ლარით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვიქტორ დოლიძის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.17.019.001.02.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვიქტორ დოლიძის ქუჩა N45-ში, მეორე სართულზე მდებარე 39.06 კვ.მ ფართის ბინა N56-ი (საკადასტრო კოდი: N01.10.17.019.001.02.056), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მანანა აბუაშვილს (პ/ნ 01026015934) , რომელიც 1986 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სამგორი რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, ისანი - სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 6 პირს (6 ოჯახს) კერძოდ: ეთერი ორთოიძე (პ/ნ 12001075599) დაკავებული ფართი - 58.83 კვ.მ; თინათინი ნუგზარაშვილი (პ/ნ 22001001368) დაკავებული ფართი - 21.6 კვ.მ; სოფიო ქვრივიშვილი(პ/ნ 36001003373) დაკავებული ფართი - 46.76 კვ.მ; ეკატერინე ნეფარიძე (პ/ნ 61001072150) დაკავებული ფართი - 39.66 კვ.მ; ნანა ელაშვილი (პ/ნ 35001022207) დაკავებული ფართი - 30.85 კვ.მ; ირმა ჩიხრაძე (პ/ნ 45001025476) დაკავებული ფართი - 40.22 კვ.მ. აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 237.92 კვ.მ ფართი.

შსს-ს ცნობებით დგინდება, ზემოაღნიშნული პირები დაახლოებით 9-10 წელია ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები 2011-2012-2013 წლებიდან ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები ჯამში 99,48 კვმ ფართი, საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს) კერძოდ: ლეილა კენჭუაშვილი (პ/ნ 01019042321) დაკავებული ფართი - 47.93 კვ.მ; ლევანი კენჭუაშვილი (პ/ნ 01019063367) დაკავებული ფართი - 51.55 კვ.მ. შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი“ კრების ოქმით დასტურდება, რომ ლევანი კენჭუაშვილი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2009 წლიდან ხოლო ლეილა კენჭუაშვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2010 წლიდან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა №31-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.124) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.124) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები, ჯამში 91,29 კვმ, საკუთრებაში გადაეცემა 5 პირს (5 ოჯახს) . კერძოდ: ლელა კვაშილავა (პ/ნ 01401129412) დაკავებული ფართი - 35.26 კვ.მ; ელიკო თოლორდავა (პ/ნ 48001021251) დაკავებული ფართი - 22.04 კვ.მ; ლიანა საჯაია (პ/ნ 48001003642) დაკავებული ფართი -11.67 კვ.მ, 5.66 კვ.მ და 3.56 კვ.მ; მარიამი კუჭავა (პ/ნ 58001028160) დაკავებული ფართი - 5.67 კვ.მ; თეონა ჯღარკავა (პ/ნ 29001021779) დაკავებული ფართი - 7.43 კვ.მ;

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გორის 31“ კრების ოქმით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე დიდი ხნის განმავლობაში.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუს №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429.01.556) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში, პირველ სართულზე მდებარე 27.43 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.556), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გურანდა გოგუაძეს (პ/ნ 01018002168) , რომელიც ოჯახთან ერთად 15 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში 3-ში, მე-6 კვარტლის კორპუსი №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.002.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-6 კვარტლის კორპუსი №13-ში, პირველ სართულზე მდებარე 38.64 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.002.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე დალი ნოზაძეს (პ/ნ 01011006471), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში 1991 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.06.012.017.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №19-ში, მდებარე 66.59 კვ.მ ფართის ბინა №1-ი (საკადასტრო კოდი: №01.10.06.012.017.01.001), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ციური ჭანკვეტაძეს (პ/ნ 01026014158), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში (15 წელი) ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №62-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.006.003.01.537) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №62-ში, მეორე სართულზე მდებარე 131.58 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: №01.11.10.006.003.01.537) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე დალი ყარაულაშვილს (პ/ნ 01002001191), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, 2001 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებული 56 695 კვ.მ მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: 01.72.16.104.005) და ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა №23-ში არსებული 4324 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.06.012.168) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტომ 2022 წლის 16 ნოემბერს საინიციატივო წინადადებით მიმართა შპს „ტიფლის კოსტავას“ და შესთავაზა გაცვლა კომპანიის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში არსებული 2

863 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.006), ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებული 56 695 კვ.მ მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: 01.72.16.104.005) და ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N23-ში არსებული 4324 კვ.მ მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ. აღსანიშნავია, რომ შპს „ტიფლის კოსტავას“ საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N68-ში 2 863 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ვაკის პარკის ტერიტორიაზეა, რომელიც წარმოადგენს დედაქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს საქალაქო პარკს. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შორის სხვაობა შეადგენს 578 689 ლარს, რომლის გადახდაც კომპანიის მიერ განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 21 დეკემბრის N22.1981.2140 განკარგულებით საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე